

## საქართველოს კანონი

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატების და ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 13.02.2004, მუხ. 7) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-12 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის 2<sup>1</sup> პუნქტი:

„2<sup>1</sup>. მთავრობის სხდომაზე, მთავრობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხი განსახილველად გამოაქვს შესაბამის მინისტრს, სამინისტროს მმართველობის სფეროდან გამომდინარე.“.

2. მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. თუ საკითხი, რომელიც კანონით გადაცემულია აღმასრულებელი ხელისუფლების გამგებლობაში, არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, მასზე გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა. მთავრობა უფლებამოსილია მიიღოს ასევე გადაწყვეტილება შესაბამისი სამინისტროს მმართველობის სფეროს მიკუთვნებულ საკითხზე, თუ შესაბამისი სამინისტრო არ იღებს ან აყოვნებს გადაწყვეტილების მიღებას აღნიშნულ საკითხზე, გარდა ქვეყნის უშიშროების, თავდაცვის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან და საქართველოს პროკურატურის მიერ საპროკურორო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებისა.“.

3. ამოღებულ იქნას 25-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

მუხლი 2. ეს კანონის ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი